ხელშეკრულება №104

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით

ქ. ხონი

4 --- მაისი 2017 წელი

ერთის მხრივ ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის ჯემალ მებუკეს სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „რაპაკა"-ს დირექტორი კახაბერი გვეტაძე, (შემდგომში „მიმწოდებელი") „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხონელობის სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით: იტალიის დროშის (სამაგიდე ალამი) - 1 ც; პოლონეთის დროშის (სამაგიდე ალამი) - 3 ც; ლატვიის დროშის (სამაგიდე ალამი) - 1 ც; ევროკავშირის დროშის (სამაგიდე ალამი) - 1 ც; საქართველოს დროშის (სამაგიდე ალამი) - 2 ც; (CPV35800000 - ინდივიდუალური და დამხმარე მოწყობილობები; CPV35821000 - დროშები;) მოწოდების უზრუნველყოფა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 80.00 (ოთხმოცი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
3.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელი - ჯემალ მებუკე და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი.

4. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

4.1 საქონლის მოწოდების ადგილია ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6
4.2 საქონლის მოწოდება განხორციელდება 2017 წლის 6 მაისის ჩათვლით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სათანადო ხარისხის საქონელი.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარე დაჯარიმდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
6.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.
6.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს დამკვეთს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შორის შეთანხმებით.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის.

7.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.4 მხარე ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.5 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარ ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც ორი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა

10.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შესმყიდველსა და მიმწოდებელს შორის არ წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 აგვისტომდე.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:

ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6

საიდენტიფიკაციო კოდი: 244961225

სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი - TRESGE22

მიმღების ანგარიში – 200122900

ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ჯემალ მებუკე

„მიმწოდებელი“:

შპს „რაპაკა“

ქქუთაისი, წერეთლისა და ჯიბლაძის 35/2

პირადი ნომერი: 412704505

პროკრედიტ ბანკი

ბანკის კოდი MIBGGE22

ს/ს №GE54 PC00 1360 0100 045900

შპს „რაპაკა“-ს დირექტორი

კახაბერი გვეტაძე